



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

10.10.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №107

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით თხოვნების ფორმით გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" პუნქტის "დ.გ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 615-622-ე მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 4 ოქტომბრის №02/11127 და 9 ოქტომბრის №02/11309 წინადადებების საფუძველზე ზუგდიდი მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდი მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო სარგებლობის უფლებით თხოვნების ფორმით ერთი წლის ვადით ავტოსატრანსპორტო საშუალება TOYOTA LANDCRUISER LC150 (სახელმწიფო ნომრით SS101SD, საიდენტიფიკაციო ნომერი: JTEBH3FJ405037795, საბალანსო ღირებულება 22766,50 (ოცდაორი ათას შვიდას სამოცდაექვსი ლარი და ორმოცდაათი თეთრი), გადაეცეს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციას სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების მუნიციპალიტეტის მერისთვის.



3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. N 12)

საკრებულოს თავმჯდომარე:



მამუკა წოწერია